

უკ: 93/94: 930

## სასწავლო პროცესის მართვა კონსერვატორიაში გასული საუკუნის 1920-1930-იანი წლების ტოტალიტარიზმის პირობებში

### თინათინ დოლიძე

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის  
არქივის ხელმძღვანელი  
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისი 0108,  
გრიბოედოვის 8/10

### ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანია იმის დადგენა, თუ რა გავლენა მოახდინა გასული საუკუნის 20-30-იან წლებში არსებულმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა კონსერვატორიაში მიმდინარე სასწავლო პროცესზე ასევე, როგორ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მართვა კონსერვატორიაში ტოტალიტარიზმის, პროლეტარული დიქტატურისა და პოლიტიკური რეპრესიების პირობებში. კონსერვატორიის საარქივო ფონდებში დაცული ბრძანებათა წიგნები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ყოველივე ამის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, სასწავლო პროცესი, ტოტალიტარული რეჟიმი.

საქართველოში პირველი უმაღლესი სასწავლებლის, თბილისის კონსერვატორიის დაარსებიდან (1917) მალევე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, სამუსიკო განათლების საქმე სახელმწიფოს ხელში გადავიდა. განათლების კომისარიატთან შეიქმნა ხელოვნების განყოფილება, რომელიც თავის მხრივ შედგებოდა თეატრისა და მუსიკის ქვეგანყოფილებებისგან. როგორც ყველა, იმ პერიოდში არსებული უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში, კონსერვატორიაც თანმიმდევრულად ხელმძღვანელობდა საბჭოეთის დედაქალაქში, მოსკოვში შემუშავებული დირექტივებით, მითითებებითა და წესდებებით. ამის საფუძველზე იყო შემუშავებული კონსერვატორიის შინაგანაწესიც. წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანია დავადგინოთ, რა გავლენა მოახდინა გასული საუკუნის 20-30-იან წლებში არსებულმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა კონსერვატორიაში მიმდინარე სასწავლო პროცესზე და როგორ აისახა ეს ყოველივე ბრძანებათა წიგნებში. ასევე, როგორ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მართვა კონსერვატორიაში ტოტალიტარიზმის, პროლეტარული დიქტატურისა და პოლიტიკური რეპრესიების პირობებში. კონსერვატორიის საარქივო ფონდებში დაცული ბრძანებათა წიგნები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ყოველივე ამის შესახებ და აცოცხლებენ გას. საუკუნის 20-30-იან წლებში არსებულ რეალობას. იმთავითვე უნდა ითქვას, რომ კონსერვატორიის არქივში ბრძანებათა წიგნების ქრონოლოგიური აღწერა იწყება მხოლოდ 1925-წლიდან. სამწუხაროდ, 1917-დან 1924-მდე პერიოდის ამსახველი ბრძანებათა წიგნები და არც სხვა სახის დოკუმენტაცია არ შემონახულა. ამიტომ ათვლის წერტილად მივიჩნიეთ 1925 წელი და მოიცავს 1925-1939

წლებს. ცნობისათვის: აღსანიშნავია, რომ კონსერვატორიაში ბრძანებების წარმოება სრულდებოდა ორ ენაზე: ქართულად და რუსულად. (განსაკუთრებით 1938-39 წ.წ.-ის ბრძანებები), ამიტომ ზოგიერთი ბრძანებიდან ამონარიდი მოყვანილია რუსულ ენაზე.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური რეპრესიები, ან სხვანაირად, “წითელი ტერორი,” ადრეული საბჭოთა პერიოდის საშინაო პოლიტიკიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი, “სამუშაო” ტერმინი იყო. როგორც ცნობილია, რეპრესიების მსხვერპლნი ხდებოდნენ არამხოლოდ ბოლშევიკთა პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, ოპონენტები ან განსხვავებული იდეოლოგიური იდეების გამზიარებელნი, არამედ, სრულიად აპოლიტიკური ადამიანებიც და მათი ოჯახის წევრებიც კი. ცხადია, რეპრესიებს არც კონსერვატორია გადაურჩა. გავიხსენოთ, რომ 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლი გახდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დირიჟორი ევგენი მიქელაძე, რომელიც კონსერვატორიაში 1932-დან 1937 წლამდე ხელმძღვანელობდა მის მიერ ჩამოყალიბებულ სტუდენტთა ორკესტრს, სადირიჟორო კლასს, საფორტეპიანო ანსამბლს. ჩვენს არქივში დაცულია 1937 წლის 16.10 #71 §10 ბრძანება მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ: „დირიჟორი ევგენი მიქელაძე განთავისუფლებულ იქნას სამსახურიდან 01.10-დან.” (სტილი დაცულია – თ.დ.)

კონსერვატორიის პროფესორის, საფორტეპიანო ფაკულტეტის დეკანის ლუციან ტრუსკოვსკის შვილიშვილისგან, მიხეილ ტრუსკოვსკისგან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პროფესორ ლუციან ტრუსკოვსკის ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონია სერგეი რახმანინოვთან და მას შემდეგ, რაც რახმანინოვი სამუდამოდ გადასახლდა შეერთებულ შტატებში, მეგობრებს წლების მანძილზე აქტიური მიმოწერა ჰქონიათ ერთმანეთთან. თუმცა, სამწუხაროდ, პროფ. ტრუსკოვსკიმ 30-იანი წლებში, რიგ გარემოებათა გამო გაანადგურა ყველა წერილი, რომლებსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენთვის დღეს. ეს ფაქტი აღნიშნული აქვს ლ. ტრუსკოვსკის მოწაფეს, პიანისტსა და პედაგოგს ნიკოლოზ დადიანს თავის მოგონებებშიც. 30-იანი წლების ტერორი უფრო მოგვიანებითაც გაგრძელდა 40-იანი წლებში. მაგალითად, ცნობილია ე.წ. „სამოსუდის“ შესახებ, რომელიც მოუწყვეს ქართული მუსიკისმცოდნეობის სკოლის ფუძემდებელს, მრავალი წლის განმავლობაში მუსიკის ისტორიის კათედრის გამგეს ვლადიმერ (ლადო) დონაძეს. გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს გერმანიის აგენტობის ბრალდებით დააპატიმრეს და თბილისიდან გადაასახლეს მსოფლიოში ცნობილი პიანისტის, რუდოლფ კერერის მამა, რიჰარდ კერერი (აგრეთვე მუსიკოსი, რომელიც მუსიკალური საკრავების ამწყობად მუშაობდა თბილისის კონსერვატორიაში) და ბიძები, ხოლო 1941 წელს მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, კერერის ძმა, დედა და დეიდები ეტაპით გადაასახლეს ყაზახეთში. წითელი ტერორის მსხვერპლი გახდა ქართული საბალეტო სკოლის ფუძემდებელი, ამავე დროს, კონსერვატორიის საოპერო სტუდიის ბალეტმაისტერი და პედაგოგი მარია პერინი და მისი ოჯახიც. 1936 წელს მარია პერინი წარდგენილ იქნა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდებაზე, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადაიფიქრეს. მიზეზად დასახელდა, რომ ის უცხოეთის მოქალაქე იყო და იტალიაში გაასახლეს. რეპრესიებს ვერ გადაურჩა ვერც მისი მეუღლე, მხატვარი ჰენრიკ ჰრინგესკი (თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთერთი დამფუძნებელი), რომელიც ციმბირში გადაასახლეს და შემდეგ, 1938 წელს დახვრიტეს. სასტიკი რეჟიმის მსხვერპლნი გახდნენ აგრეთვე პერინის შვილები და მათი ოჯახები. აგრეთვე ცნობილია ერთი ტრაგიკომიკური ფაქტიც: კონსერვატორიის სიმებიანი კვარტეტის მოსმენისას, განათლების კომისარიატთან არსებული ხელოვნების განყოფილების მესვეურის (მუსიკის ხელოვნებაში სრულიად უვიცი), გაგუას

ადშფოთების შესახებ იმის თაობაზე, თუ რატომ ასრულებდა ნაწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ ოთხი შემსრულებელი და არა შემსრულებელთა დიდი შემადგენლობა, ანუ „მასა.“(?)

როგორც ცნობილია, პროლეტკულტურის ლოზუნგი იყო „ხელოვნება მასებს,“ რაც ნიშნავდა იმას, რომ თითქმის ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო სახელოვნებო სფეროში და არამხოლოდ, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება. ყველა, იმ დროს არსებულ უმაღლეს სასწავლებლებთან შემოღებულ იქნა ე.წ. მუშფაკების „ინსტიტუტი,“ რომელმაც მხოლოდ თხუთმეტი წლის მანძილზე იარსება (1924-1939 წ.წ). ასე მოხდა კონსერვატორიაშიც. დედაქალაქის ყველა რაიონს თავისი მუშფაკი ჰქონდა. მაგალითად, ავლაბრის მუშფაკი, ლენინის რაიონის მუშფაკი და ა.შ. ამონაწერი 1925 წლის 17 აპრილის ბრძანებიდან #19 §3: „თანახმად სხდომის დადგენილებისა, ლენინის რ-ნის მუშფაკის საქმისმწარმოებელ კ. ჯუღელს ა.წ. 16 აპრილიდან ეძლევა ორი კვირის შვებულება 1 მაისამდის, რა რიცხვიდან თავისუფლდება მუშფაკში სამსახურიდან.“

სპეციალური და დამხმარე მუსიკალური საგნების სწავლებასთან ერთად კონსერვატორიაში დიდი და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სტუდენტთა იდეოლოგიურ აღზრდას. შეიქმნა პოლიტიკური საგნების კათედრა (რომელსაც მოგვიანებით, მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა ეწეოდა და ამ სახელწოდებით იარსება ვიდრე 1990-იან წლებამდე), სადაც იკითხებოდა სავალდებულო ლექციები დიალექტიკურ მატერიალიზმსა და ისტორიულ მატერიალიზმში, ისწავლებოდა სსრკ კონსტიტუცია, სკკპ ისტორია, მეცნიერული კომუნიზმი, პოლიტეკონომია და სხვ. გასული საუკუნის 20-იან წლებში სხვა, ყოვლად გაუგებარ და ყოვლად აბსურდულ კურსებთან და სექციებთან (მაგალითად, პროლეტარული კურსები, პროლეტარ სტუდენტთა სექცია) ერთად ჩამოყალიბდა „დანაკარგებთან მებრძოლი დამკვრელი ბრიგადა“. (!) „სტუდენტთა ბრიგადის მე-14 ოქტომბრის სახელობისას სამაგალითო დამკვრელ მუშაობისათვის მუშათა და გლეხთა მასაში, პროლეტარულ მუსიკის, დისციპლინის, თავდაჭერის და აქტიურ მონაწილეობის მიღების გამო ვუცხადებთ მადლობას ბრიგადის შემადგენლობას.“ (ბრძ. #78. 1932 წლის 20 აპრილი). იკითხებოდა სალექციო კურსი „რუს ხალხთა ისტორია.“ ამ საგნის ლექტორი მარიამ ოქუაშვილი მოგვიანებით ჩაანაცვლა ნინო ქადეიშვილმა (იხ. 1938 წლის ბრძ. #10 §5, §6.). სტუდენტთა იდეოლოგიური აღზრდის საქმეში წვლილი მიუძღვის ფილოსოფოსს, იურისტს, პედაგოგს, ბორის ფინგერტს (კონსერვატორიის პროფესორის, მუსიკისმცოდნისა და პიანისტის ლარისა ქუთათელაძის მეუღლე), რომელიც 1932-1936 წ.წ. მოღვაწეობდა თბილისის კონსერვატორიაში, სადაც სამეცნიერო-ფილოსოფიურ წრეს (რომელიც შემდეგ გაუქმდა) ხელმძღვანელობდა და კითხულობდა ფილოსოფიის კურსს.

კონსერვატორიის არქივში დაცული 1932 წლის ბრძანებების (ბრძ.#112 3/IX) წიგნიდან ვიგებთ: „დაინიშნოს მუს.-თეორიული განყოფილების გამგედ პროფ. ფინგერტი.“ ბორის ფინგერტი მრავალრიცხოვანი ნარკვევების, სახელმძღვანელოების, სტატიებისა და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია: „რელიგიის არსი და მისი სოციალური დანიშნულება“ (1931), „საზოგადოებათმცოდნეობა ძველ და ახალ სკოლებში“, „მეტყველება და აზროვნება“, „სწავლება მხატვრული მემკვიდრეობის განვითარებისა და პრობლემის შესახებ“, „დიალექტიკური მატერიალიზმი“ და სხვა. (უფრო ვრცლად ბ. ფინგერტის შესახებ იხ. პირადი საქმე #835). 1936 წლის 20.02 ბრძანება: „დაინიშნოს სოციოლოგიის

ხელოვნებაში და დიამატში ასპირანტურის ხელმძღვანელად ბორის ალექსანდრეს ძე ფინგერტი. ჯამაგირის განაკვეთი ხუთასი მანეთის (500 მან.) რაოდენობით თვეში 01.02-დან. ა. ხოფერია.” (სტილი დაცულია თ. დ.).

1928 წლის 31.10 ბრძანება #3: „მოწვეულ იქნენ პოლიტიკურ საგნების ლექტორებად ა. ჯაფარიძე და ს. გაჩეჩილაძე თანახმად განათლების კომისარიატის მოწერილობისა. აქტი 31.10-#10226285-----“

1931 წლის 25 დეკემბრის #18 ბრძანების თანახმად, ლენინიზმის კურსის მასწავლებლად დაინიშნა პლატონ თავხელიძე.

სტუდენტებზე და აკადემიურ პერსონალზე ტოტალური იდეოლოგიური კონტროლის დაწესების მიზნით კონსერვატორიაში სხვადასხვა თანამდებობებზე ინიშნებოდნენ პარტიული მუშაკები. სწორედ ამით აიხსნება 1932 წელს კონსერვატორიის დირექტორად პარტიული მუშაკის, გიორგი შავგულიძის დანიშვნა (უფრო ვრცლად მის შესახებ ცნობების მოპოვება შეუძლებელია, რადგან მისი პირადი საქმე არ შემონახულა კონსერვატორიის არქივში). იხ. 1932 წლის 5 ივნისის #84 ბრძანება. კონსერვატორიის დირექტორის თანამდებობაზე გ. შავგულიძე ჩაანაცვლა ხელოვნებათმცოდნემ, კრიტიკოსმა, ალექსანდრე დუდუჩავამ (1932-1938), რომელიც მოწვეული ლექტორის სტატუსით კითხულობდა „ხელოვნების სოციოლოგიის“ კურსს.

1931 წლის 04.09 ბრძანება #112: „დაინიშნოს ამხ. ალ. ჯაფარიძე პოლიტიკური საგნების კათედრის გამგედ და მიეკუთვნოს მას დეკანის განაკვეთი ამ გამგეობისათვის 1 სექტემბრიდან.” ალ. ჯაფარიძე მოგვიანებით ჩაანაცვლა გურჯიშვილმა (1931 წლის 10.11 #134 ბრძ.)

გაუგებარია, რა ნიშნით ინიშნებოდნენ ასპირანტთა შესარჩევი კომისიის წევრებად სრულიად არაკომპეტენტური პირნი?! ამ მხრივ უაღრესად საინტერესო, სახალისოა და კურიოზული შემდეგი ბრძანების ტექსტი: „ინსტიტუტში ასპირანტების შესარჩევად გამოიყოს კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომუჯრედიდან შირიაპოვი, ადგილკომიდან კოვშოვი, პროფკომიდან ლოლაძე, კომკავშირიდან მოსიძე და ადმინისტრაციიდან ხოფერია.” (1931 წლის 23 ნოემბრის ბრძანება #153) (სტილი დაცულია).

გაკვირვებას ნამდვილად არ იწვევს ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში კონსერვატორიის თანამშრომლებზე და სტუდენტებზე სრული კონტროლის დაწესების მიზნით, კონსერვატორიაში იმ პერიოდში მოქმედებდა ე.წ. საიდუმლო მაგიდა (საიდუმლო ნაწილი), რომელსაც ხელმძღვანელობდა ზემოთ ნახსენები პ. შირიაპოვი; ის ამ თანამდებობაზე მოგვიანებით ჩაანაცვლა ლავრენტი ოძელაშვილმა (1938 წლის ბრძ.#20 §4), რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1938 წლამდე (ბრძ.#37§3) და ამავე წელს ის ჩაანაცვლა არჩილ ცქიფურიძემ (§4). 1932 წლის #70 ბრძანება: „ინსტიტუტის საქმეთა მმართველს ამხ. მოსიძეს ევალება დღეის რიცხვიდან ჩააბაროს ახლად დანიშნულ თანამდებობაზე ამხ. გოცირიძეს ინსტიტუტის საიდუმლო საქმეები. ბრძანება ინსტიტუტისადმი #69 15.03.” 1932 წლის 14 მაისის ბრძანება #82 §3: „საქმეთა მმართველ და საიდუმლო ნაწილის გამგე ამხ. შალვა გიორგის ძე გოცირიძეს ა.წ. 1-ლ მაისიდან ევალება ინსტიტუტის შესრულება-შემოწმება, კონტროლის მოვალეობის შესრულება შეთავსებით თავის თანამდებობასთან, რაზედაც ევალება სისტემატიურათ ყოველ დასვენების წინა დღეს მომახსენოს შედეგი შესრულების კონტროლით” (სტილი დაცულია). 1937 წლის 29 სექტემბრის #62 ბრძანება §5-ის მიხედვით, საიდუმლო მაგიდის გამგე ბორის გაბარაშვილი განთავისუფლდა სამსახურიდან და მის ნაცვლად დაინიშნა ისევ პეტრე შირიაპოვი. დიდი ალბათობით,

კონსერვატორიის ადმინისტრაციის რიგითმა თანამშრომლებმა და აკადემიურმა პერსონალმა რეალურად არცკი იცოდნენ ასეთი ნაწილის არსებობის შესახებ. აქვე აღსანიშნავია ის რეალური ფაქტიც (რომელიც მიაჩნო ჩემმა პედაგოგმა, თეორეტიკოსმა ნინო ჭონიჭვილიძემ), რომ კონსერვატორიის სრულიად უნიკალური მცირე დარბაზის კედლების დამამშვენებელ დეკორს - ანგელოზებს იმ პერიოდის ხელოვნების კომისარიატის კულტურის განყოფილების მესვეურის, პარტიული მუშაკის, ვინმე გაგუას განკარგულებით (ეს ის გაგუაა, რომელიც 1932 წლის 4 აგვისტოს ბრძანებით, თანახმად სახალხო განათლების კომისარიატის #327 ბრძანების საფუძველზე იმავე წლის 03.08-დან მუშაგაკის დირექტორად დაინიშნა.), ფრთები მოახერხეს (!). განკარგულება დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პარტიული ხელმძღვანელობა არამხოლოდ უხეშად ერეოდა კონსერვატორიის სასწავლო პროცესში და სრულად წარმართავდა მას, არამედ კორექტივებიც შეჰქონდა და უხეშად ერეოდა შენობის არქიტექტურაშიც (!).

ცხადია, გასული საუკუნის 30-იან წლებში კონსერვატორიაში არ არსებობდა არავითარი თვითმმართველობა. მომსახურე და აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნა-მოხსნა-განთავისუფლება მხოლოდ საქართველოს, ან საკავშირო ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უშუალო მითითებით ხდებოდა. უფრო მეტიც, თანამშრომელთა ხელფასების, პრემიების და სტუდენტთა სტიპენდიების დანიშვნაც კი უშუალოდ ამ ორგანოსთან უნდა შეთანხმებულიყო. კონსერვატორიის ხელმძღვანელობას არ ჰქონდა უფლება ზემდგომ ორგანოსთან შეუთანხმებლად დამოუკიდებლად მიეღო ესა თუ ის გადაწყვეტილება. ყველაფერი მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. მაგალითად, პროფ. რიაზანოვის შესახებ ბრძანებაში ვკითხულობთ: „Приказ # 103 по консерватории 2 октября 1938 года: На основании приказа управления по делам искусств зачислить на должность декана научно-композиторского факультета и профессором по практическому сочинению для композиторов проф. Рязанова И.Б. с 1 сентября 1938 года с окладом 1300 руб+650 рубл. Директор Гр. Киладзе.” 1938 წლის 1 ნოემბრის ბრძ.# 141 §2: „თანახმად ხელოვნების სამმართველოს ბრძანებისა #519 პავლე დავითის ძე ახალკაცი განთავისუფლებულ იქნას სახ.კონსერვატორიის დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან ა/წ 1 ნოემბრიდან მისი მუსიკალურ სასწავლებლის დირექტორად გადაყვანის გამო.” იქვე §3 „თანახმად ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანებისა #520 ს.კ. პოდოსოვი ა/წ 1 ნოემბრიდან გადაყვანილ იქნას სახ.კონსერვატორიის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზედ საფინანსო დარგში.” გრ. კილაძე. 1925 წლის ენკენისთვის (სექტემბერი) 15 #36§2 განკარგულება (ბრძანება): „თანახმად ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მიწერილობისა ამა წლის 14.08 თარიღით #1248, მომავალ 1925/26 სასწავლო წელში კონსერვატორიის მასწავლებელთა რიცხვიდან დატოვებულ არიან: ფ-ნოს ფაკულტეტზე ტრუსკოვსკი, ტერ-სტეპანოვა, თულაშვილი, გაბაშვილი და ვირსალაძე. ვოკ. ფაკულტეტზე: მიხალსკაია, შულგინა და ჯაყელი. ინსტრ. ფაკულტეტზე: ვილშაუ, ლედნიკი, მინიარი და გროსსმანი. თეორიულ ფაკ-ზე: არაყიშვილი ---...” და ა.შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსერვატორიის სასწავლო პროცესში სტუდენტთათვის სავალდებულო გახდა სსრკ კონსტიტუციის შესწავლა, რის გამოც დაინიშნა სპეციალური სალექციო კურსი, ამაში ვრწმუნდებით შემდეგი ბრძანების საფუძველზე: „შესაბამისად სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების კომიტეტის მუსიკალური დაწესებულებების მთ. სამმართველოს უფროსის განკარგულებებისა #20.173 1937 წლის 26.02-ის თარიღით შემოღებულ იქნას კონსერვატორიაში სსრ

კავშირის კონსტიტუციის შესასწავლად დამატებითი ლექციები. დაეთმოს აღნიშნულ საგანს 20 საათი თითოეულ კურსზე მიმდინარე წლის მეორე სემესტრის განმავლობაში.” და იქვე §2: „სსრ კავშირის კონსტიტუციაში ლექციების ჩასატარებლად მოწვეულ იქნა 1937 წლის 19.03-დან ქართულ სექტორზე ამხ. შოთა ქინქლაძე და მირონ ქოჩიაშვილი; რუსულ სექტორზე ამხ. აკაკი მენაბდე.”

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში და იმ დროს, როცა სხვადასხვა თანამდებობებზე ინიშნებოდნენ პარტიული მუშაკები, ყოველივე ამის პარალელურად, კონსერვატორიაში ფსიქოლოგიის კურსს, როგორც მოწვეული პედაგოგი 1929 (ბრძ.#25, 1929 წ.)-დან 1936 წლამდე უძღვებოდა ქართველი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფსიქოლოგიის ქართული სკოლის დამფუძნებელი, სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთერთი დამფუძნებელი, დიმიტრი უზნაძე. ასევე, 1937 წლამდე კონსერვატორიაში ქართული ხელოვნების ისტორიის სალექციო კურსს კითხულობდა ქართველი მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, რომელიც პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა 1937 წლის 01.09-დან.

აქვე აღსანიშნავია, რომ გარდა ძირითად შტატში მომუშავე აკადემიური პერსონალისა ზოგადად, კონსერვატორიაში იმთავითვე დამკვიდრდა მოწვეული პროფესორების პრაქტიკაც, რაც უდავოდ პოზიტიური მოვლენა იყო იმ პერიოდისათვის. მაგალითად, კონსერვატორიის სააარქივო ფონდში დაცული ბრძანებების მიხედვით, მოწვეულთა შორის იყვნენ: პიანისტი მარია იუდინა, კომპოზიტორი ვ. შჩერბაჩოვი, მუსიკისმცოდნე ა. რაბინოვიჩი, თეორეტიკოსი და დირიჟორი მ. ბაგრინოვსკი, პიანიზმის ისტორიის მცოდნე გ. კოგანი, მევიოლინე ს. ბეზროდნი, ვოკალისტი ნ. რაისკი, პიანისტი გ. ედელმანი, თეორეტიკოსები პ. რიაზანოვი, ი. ტიულინი, გ. გინზბურგი და სხვები.

კონსერვატორიის არსებობის საწყის ეტაპზევე გამოიკვეთა უმაღლესი სასწავლებლის სტრუქტურის მკვეთრად გამოხატული კონტურები. ჩამოყალიბდა კათედრები და დეკანატები, კანცელარია, კადრების განყოფილება, ბიბლიოთეკა, მუზეუმიც კი. ბრძ. #90, 1931 წლის 01.04: „დაევალოს მოქალაქე სტეფანე გაბრიელის ძე მირზოევს მოაწიოს მუსიკალური მუზეუმი სახკონსერვატორიასთან და ამისთვის მუზეუმს დაეთმოს კონსერვატორიის შენობაში ბიბლიოთეკის ერთი კუთხე. დაენიშნოს მოქ. მირზოევს 1 აპრილიდან 60 მანეთი.” იმთავითვე შემუშავებულ და შემოღებულ იქნა ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამების სრული კურსი, რომელიც ამ ფორმით გასული საუკუნის 90-იან წლებამდე შემორჩა. ერთი მხრივ, თანდათანობით საფუძველი ეყრებოდა უმაღლესი სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მეორე მხრივ, უმაღლესი განათლების საბჭოურ სისტემას და სწავლების მეთოდოლოგიას.

საყურადღებოა ბრძანებები იმის შესახებ, რომ მასწავლებლებს ეძლეოდათ უფლება ემუშავათ მხოლოდ და მხოლოდ იმ სტუდენტებთან, რომლებიც დარეგისტრირებულნი იყვნენ კანცელარიაში, ირიცხებოდნენ მათ კლასში და გადახდილი ჰქონდათ სწავლის საფასური. მაგალითად 1925 წლის 15 იანვრის #5 ბრძანების §1, §2, §3-ში ვკითხულობთ: „თანახმად სახკონსერვატორიის საბჭოს დადგენილებისა 1924-25 სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან მასწავლებლები იმეცადინებენ მხოლოდ იმ მოწაფეებთან, რომლებსაც აქვთ შემოტანილი სწავლის ფული---“ აგრეთვე ბრძანება #41, 1925 წლის 28 ნოემბერი: „სახკონსერვატორიის პროფესორთ, ან მასწავლებელთ კიდევ ერთხელ მოგაგონებთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მეცადინეობა იმ მოწაფესთან, რომელიც კანცელარიის მიერ არ არის აღნიშნული დღიურში, რადგანაც დღიურში აღუნიშნავ

მოწაფეების ჰონორარს კონსერვატორია არ იხდის და არც გადაიხდის....” (სტილი დაცულია) მოგვიანებით, 1935 წლის 19.04 #48 ბრძანების თანახმად, კონსერვატორიაში სრულიად გაუქმდა სწავლის გადასახადი.

სხვადასხვა დროს კონსერვატორიაში პერიოდულად, მაგრამ მკაცრად ტარდებოდა როგორც წიგნებისა და ნოტების, ასევე არსებულ საკრავთა ინვენტარიზაცია. მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს: ამონაწერი 1925 წლის 24 ივლისის ბრძანებიდან #32 §2: „დაევალოს ბიბლიოთეკარს ამხ. შოვსს შეუდგეს დღეიდანვე და დაამთავროს არაუგვიანეს მომავალ სასწავლო წლის დამდეგისა, კონსერვატორიის ბიბლიოთეკის სრული აღწესება. ამისათვის საგანგებოდ დამზადებულ წიგნთსაცავის საინვენტარო წიგნებში იქ ნაჩვენები ყველა ცნობების შევსებით და ბიბლიოთეკის თითოეულ წიგნს დაეკრას სხვა და სხვა ადგილას კონსერვატორიის ბეჭედი და აგრეთვე დამლა. საინვენტარო წიგნის რიგის ნომრის და აგრეთვე კატალოგის განყოფილებისა და ნომერის ჩვენებით.” (სტილი დაცულია). შოვსი ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე მოგვიანებით, 1932 წელს შეცვალა ელენე გედევანოვამ (1932 წლის 9 სექტემბრის ბრძანება #116 §2). 1936 წლის 22.09 ბრძ. #72: „კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში წიგნებისა და ნოტების გადასინჯვისათვის დანიშნულია კომისია შემდეგი შემადგენლობით: მარგიევი, შანიძე, პროფ. ე. ვრონსკი, ბ. გაბარაშვილი, ოზეროვა. დირექტორი ა. ხოფერია. განკარგულება (ბრძანება) #3 1925 წლის 10 იანვარი §1: „დაინიშნოს საგანგებო კომისია დრამსტუდიის ქონების აღსარიცხავად და ინვენტარის წიგნის შესამოწმებლად. კომისიის შემადგენლობა: დრამ. ფაკულტეტის დეკანი ნ. შიუკაშვილი (თავმჯდომარე), დ. ნახუცრიშვილი, გ. დიდებულისძე, კ. კაპანელი, მდივანი გ. მიქელაძე. კომისიას ევალება შედეგები მუშაობისა წარმოადგინოს არაუგვიანეს ერთი კვირისა.” დირექტორი ა. ფაღავა. ბრძ. #5 §1 1937 წლის 07.02: „კონსერვატორიის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ წარმოდგენილი აქტი მთელი ინვენტარისა ჯამით 354,928 მან. და 11 კაპ. დამტკიცდეს. საფუძველი: საინვენტარო აქტი თანდართულ საბუთებით.” ბრძ. #59 §1 1937 წლის 02.09: „გამოიყოს კომისია სახკონსერვატორიის ქონების შემოწმების და მიღებისათვის ხელმძღვანელ ამხ. ზაუტაშვილისგან შემდეგი შემადგენლობით: პ. ახალკაცი (თავმჯდომარე), კ. მეხუკე და მ. ევმენოვი.” ბრძ. #1 §4 1937 წლის 19.01: „იმ როიალების შესაფასებლად, რომლებზედაც კონსერვატორიაში არ მოიპოვება არავითარი საბუთი ხანდაზმულობის თუ შემთხვევითი შეძენის გამო, ვნიშნავ სპეციალურ შემთავსებელ კომისიას: პროფ. თულაშვილის (თავმჯდომარე), პროფ. ტრუსკოვსკის და ოსტატ კერერის შემადგენლობით. კომისიამ ერთი დღის ვადაში შეაფასოს ინსტრუმენტები და აქტი შეფასების წარმომადგინოს მე. სახკონსერვატორიის დირექტორი ა. ხოფერია.”

კონსერვატორიაში იმთავითვე დამკვიდრდა მოსკოვსა და ლენინგრადში ასპირანტთა სტაჟირებაზე მივლინების პრაქტიკა. მაგალითად, 1937 წლის ბრძ. #12 §3: „საკომპოზიო დარგის ასპირანტები თამარ შავერზაშვილი, აკაკი ანდრიაშვილი, დაგმარა სლიანოვა და რევაზ გაბიჩვაძე მივლინებულ იქნან ე. ლენინგრადში პროფ. რიაზანოვთან და პროფ. კუშნარიოვთან შემოქმედებაში და პოლიფონიაში სამუშაოდ მარტის 5-დან აპრილის 15-მდე.” იმავე წლის ბრძ. #23 §1: „სასწავლო კურსის გავლის და სპეციალობაში სათანადო ცოდნის მიღების მიზნით გაგზავნილ იქნენ ე. ლენინგრადში ა.წ. 02.04-დან მაისის ბოლომდე სახკონსერვატორიის სამეცნიერო-საკომპოზიციო (ასე ეწოდებოდა იმ პერიოდში მუსმცოდნეობა-საკომპოზიციო ფაკულტეტი) ფაკულტეტის მეოთხე და მეხუთე კურსის სტუდენტები: ლორთქიფანიძე ქეთევანი, პოტაპოვა,

კვირიკაძე თამარა, ქავთარაძე გულნარა, მესხი შოთა, მამალაძე თამარა, მაჭავარიანი ალექსი.”

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ უკვე გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან კონსერვატორიაში სხვა სპეციალურ, დამხმარე და იდეოლოგიურ საგნებთან ერთად ისწავლებოდა უცხო ენებიც, რაც უდავოდ პოზიტიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ეპოქის გათვალისწინებით. ძირითადი მოთხოვნადი ენები იყო გერმანული და იტალიური. 1929 წლის ბრძ. #26-ის თანახმად, უცხო ენების პედაგოგებად მოწვეულ იქნენ: გერმანული ენის მასწავლებლად გ. ნათიძე, იტალიური ენის მასწავლებლად ტ. ბაღაშვილი. ქართული ენისა და სიტყვიერების (მეტყველების – თ.დ.) კურსს 1938 წლიდან კითხულობდა ლეო დეისაძე (1938 წლის 10.09 #84 ბრძ.). 1930 წლის #65 ბრძანებიდან ვგებულობთ: „თანახმად განათლების კომისარიატის მოწერილობისა ამა წლის ოქტომბრისა #3-3-17, სახკონსერვატორიასთან გაიხსნას მე-6/ა ფაკულტეტი „სასცენო ხელოვნებისა“ და მის დეკანად დაინიშნოს აკაკი ნესტორის ძე ფაღავა 16 ნოემბრიდან.”

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სახკონსერვატორიასთან სიმებიანი კვარტეტის ჩამოყალიბებაც. 1929 წლის ბრძანება #28-ში ვკითხულობთ: „თანახმად სახკონსერვატორიის გამგეობის დადგენილებისა, ქართული კვარტეტი გადაკეთებულ იქნას სახკონსერვატორიის კვარტეტად, რომლის შემადგენლობაში ჩარიცხულ იქნან: ბეზროდნი (1 ვიოლინო), შმუგლერი (2 ვიოლინო), ლ. იაშვილი (ალტი), გ. თაქთაქიშვილი (ჩელო), რომელთაც მიეცეთ ხელფასი თვეში 50 მანეთი.” 1938 წლის 15.02 #12 ბრძანების თანახმად კი: „თანახმად ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანებისა #24 1937 წლის 15.02-სა დამტკიცდეს კვარტეტის შემდეგი შემადგენლობა: შიუკაშვილი, პოლოსიან, იაშვილი, ბარნაბიშვილი. კვარტეტის ინსპექტორად დამტკიცდეს ლ. შიუკაშვილი.”

კონსერვატორიის, როგორც უმაღლესი სასწავლებლის ჩამოყალიბების კვალდაკვალ, 1924 წელს გაიხსნა კონსერვატორიასთან არსებული საოპერო სტუდია, რომლის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართველ რეჟისორს აკაკი ფაღავას. აღსანიშნავია, რომ მანამდე, 1922 წელს მან საფუძველი ჩაუყარა თეატრალურ სტუდიას, რომელიც 1939 წელს თეატრალურ ინსტიტუტად გადაკეთდა. საოპერო სტუდიაში ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტებს ეძლეოდათ შესაძლებლობა ზიარებოდნენ საოპერო ხელოვნებას და უშუალოდ მიეღოთ მონაწილეობა საოპერო დადგმებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ სასწავლებლის კონსერვატორიად გარდაქმნამდე და საოპერო სტუდიის გახსნამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა ისეთი სასარგებლო პრაქტიკა, როდესაც ვოკალური განყოფილების მოსწავლეებს ეძლეოდათ შესაძლებლობა შეესრულებინათ ე.წ. საოპერო სავარჯიშოები,” ანუ, ნაწყვეტები სხვადასხვა ოპერებიდან. კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში შემონახულია PMO-ს, რუსული სამუსიკო საზოგადოების ოქმები, სადაც ასახულია ეს ყოველივე. 1934-35 წლების ბრძანებების წიგნიდან საოპერო სტუდიისადმი (ანაწერი #6) 1935 წლის 8 თებერვლის ბრძანებიდან ვგებულობთ: „ა.წ. 8 თებერვლიდან ჩემი ლენინგრადში მივლინების გამო საოპერო სტუდიის დირექტორის მოვალეობის შესრულება ევალება სტუდიის სამხატვრო სამუსიკო ნაწილის გამგეს, ამხ. ა. წუწუნავას.” დირექტორი ალ. ხოფერია. აქვე აღსანიშნავია, რომ ქართველი რეჟისორი, სცენარისტი, საქართველოს სახალხო არტისტი (1934), ა. წუწუნავა, იმავე დროს, 1918 წლიდან მუშაობდა ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯერ თეატრის კომისრად, ხოლო შემდეგ რეჟისორად. აქვე, იმ პერიოდისთვის საყურადღებო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ალ. წუწუნავას მიერ



ხელმოწერილი ბრძანება #27 29.02 1935 წ, სადაც ვკითხულობთ: „ვაფრთხილებ იმ მსმენელებს, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, რომ მათთვის სავალდებულოა ქართული ენის გაკვეთილებზე დასწრება და მეცადინეობა. ვალდებულნი არიან შემდეგი მსმენელები: აპრილევა, ვორონოვი, საიპოვა, ჯაბადარი, კომახიძე, ოვანესოვა, სუგაკოვა, ვორობიოვა, ლიაშენკო, ხიმიტოვა----“ და ა.შ. საოპერო სტუდიაში ცეკვის მასწავლებლად მიწვეული იყო იტალიელი ბალერინა, ბალეტმაისტერი და ქართული საბალეტო სკოლის ფუძემდებელი მარია პერინი. ბრძ. #8 1934 წლის 13 ნოემბერი: „ამხ. პერინი დაინიშნოს საოპერო სტუდიის ევროპიული ცეკვების მასწავლებლად, რომელმაც თვეში უნდა მისცეს 40 გაკვეთილი. გაკვეთილის ფასი ათი მანეთი.“ და მეორე: ბრძ. #9 1934 წლის 13 ნოემბერი: „ამხ. ლორენსონ დაინიშნოს ევროპიული ცეკვების მასწავლებლის აკომპანიატორშად თვეში 100 მანეთის ხელფასით.“ (სტილი დაცულია). ბრძ. #10 1934 წლის 14 ნოემბერი: „რეჟისორი გ. სულიაშვილი დაინიშნოს „სასცენო ხელოვნების“ მასწავლებლად თვეში ხელფასით 300 მანეთი.“ საოპერო სტუდიასთან არსებობდა მეჩონგურეთა ანსამბლიც, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი და ლოტბარი, კოტე ფოცხვერაშვილი. იმავე „საოპერო სტუდიისადმი“ ბრძანებების წიგნში 1935 წლის #54 ბრძანებაში ვკითხულობთ: 1 მაისიდან შეწყდეს ჩონგურების ანსამბლის მეცადინეობა და განთავისუფლებულ იქნას ამხ. ფოცხვერაშვილი მეცადინეობის ხელმძღვანელობიდან.“ საოპერო სტუდიაში ქართული ცეკვის მასწავლებლად მიწვეული ყოფილა ჯავრიშვილი, რიტმიკის მასწავლებლად პავლოვა, ქორმაისტერებად პ. ფალიაშვილი, ხახანაშვილი, შარაბიძე, დირიჟორები: შ. აზმაიფარაშვილი, დ. მირცხულავა, მ. ბახტაძე, მ. გრიგორიევი, ა. ნასიძე. გრიმს უძვებოდა მიხეილ ჯაფარიძე, სოლისტები: ბ. კრავიშვილი, ბექაია, გვასალია, გიორგობიანი, როდე, პიდო, ტოროშელიძე, ე. სოხაძე და სხვები. 1935 წელს საოპერო სტუდიაში კონსულტანტად მიწვეულ იქნა კომპოზიტორი და პედაგოგი დიმიტრი შვედოვი (ბრძ. #89 29.10 1935წ.)

წარჩინებულ და მომავლის პერსპექტივის მქონე სტუდენტებს ენიშნებოდათ სტიპენდია. ამისათვის კონსერვატორიაში შექმნილი იყო სპეციალური ე. წ. სასტიპენდიო ფონდი, სადაც გაწერილი იყო თუ რა ლიმიტირებული თანხა უნდა ყოფილიყო გამოყოფილი თითოეული ფაკულტეტისათვის. ეს ყოველივე ასახულია 1935 წლის 27.02 #25-ე ბრძანებაში: „სტიპენდიალურ ფონდის უკეთესად გამოყენებისათვის სტიპენდიალური ფონდი მიეცეს ფაკულტეტებს შემდეგნაირად: ინსტრუმენტალურ ფაკულტეტს თვეში ხუთი ათასი მანეთი. ვოკალურ ფაკულტეტს თვეში სამი ათასი მანეთი. სამეცნიერო-საკომპოზიციო ფაკულტეტს თვეში ათას ექვსასი მანეთი. საბავშვო ჯგუფს (?) თვეში ოთხასი მანეთი. სტიპენდიალური ფონდი კონსერვატორიაში განისაზღვროს ათი ათასი მანეთით. შენიშვნა: ამ ფონდში არ შედის რადიო განყოფილების სტიპენდიები. ბრძ. #8 1937 წლის 26.02 გვამცნობს: „რუდოლფ კერერს დაენიშნოს სტიპენდია 100 მან. ოდენობით.“ ბრძ. #18 §2 1937 წლის 31.03: „ნიკოლოზ დადიანს (პროფ. ლ. ტრუსკოვსკის მოწაფეს) დაენიშნოს სტიპენდია თვეში 8 თუმანი.“ 1937 წლის ბრძ. #77§4-29.10-37წ: „ლენინგრადის კონს. ასპირანტ (სამეცნ.საკომპ. ფაკ.) არჩილ მშველიძეს დაენიშნოს სტიპენდია თვეში ოთხასი (400) მან.“ ასევე ვგებულობთ, რომ კონსერვატორიაში დაწესებული იყო სახელობითი სტიპენდიებიც. მაგ: ბრძ.#29 1937 წლის 17.15 ვიგებთ: „დაინიშნოს ვ. ვილშაუს სახელობის სტიპენდია. მე-16 კლასში ჩამოვიდებულ იქნას პროფესორ ვილშაუს სურათი.“ (ცნობისათვის: 1895 წელს ვ. ვილშაუ პედაგოგად მიიწვიეს თბილისის სამუსიკო სასწავლებელსა და ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ამავე დროს, ვ. ვილშაუ თბილისში ეწეოდა ნაყოფიერ

საკონცერტო მოღვაწეობასაც, ხშირად ღებულობდა მონაწილეობას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამართულ საქველმოქმედო კონცერტებში. 1917 წელს (როდესაც მუსიკალური სასწავლებელი გარდაიქმნა კონსერვატორიად) იგი ერთხმად აირჩიეს კონსერვატორიის პროფესორად, სადაც მან იმუშავა 37 წლის განმავლობაში. აქედან 3 წლის განმავლობაში იყო საორკესტრო ფაკულტეტის დეკანი.). აგრეთვე ბრძ. #64 1933 წლის 13.11: „სახკონსერვატორიის კურსდამთავრებულ ელენე ჩხიკვაძეს დაენიშნოს რესპ. სახლახო არტისტის ზ. ფალიაშვილის სახელობის სტიპენდია ასი მან. თვეში ა.წ. 15.10-დან.” თუ ყურადღებით დავაკვირდებით ბრძანების თარიღს, მივხვდებით, რომ იგი გაცემულია ზ. ფალიაშვილის გარდაცვალებიდან სულ მალე, ერთ თვეში (გარდ. 1933 წლის 7 ოქტომბერს). ე.ი. გამოდის, რომ ფალიაშვილის გარდაცვალების შემდეგ კონსერვატორიაში მცისიერად მოხდა მისი სახელობის სტიპენდიის დანიშვნა. თუმცა, გაკვირვებას იწვევს ის, რომ ბრძანებების წიგნებში არ ასახულია ზ. ფალიაშვილის გარდაცვალების ფაქტი, როგორც ეს მოგვიანებით დამკვიდრდა. მაგალითად, პროფ. ლუციან ტრუსკოვსკის გარდაცვალების ფაქტი ასახულია 1939 წლის 31 იანვრის ბრძ. #26. საინტერესოა 1934 წლის. 23. 05-ის #36 ბრძანება: „რესპუბლიკის სახალხო არტისტის მელიტონ ანტონის ძე ბალანჩივაძის 50 წლის მუსიკალური მოღვაწეობის თავის აღნიშვნის მიზნით სახკონსერვატორიის დირექცია ირჩევს მას სახკონსერვატორიის საპატიო წევრად და ნიშნავს მის სახელობის სტიპენდიას.” წარჩინებულ სტიპენდიანტთა შორის იყო ლენინგრადის სტიპენდიანტი, წიგნის, „სამუსიკო განათლება საქართველოში” ავტორი, არჩილ მშველიძეც, რომელსაც 1935 წლის 09.02 #16 ბრძანების საფუძველზე დაენიშნა სტიპენდია 200 მანეთის ოდენობით.

წარჩინებულ სტუდენტ და ასპირანტ სტიპენდიანტთა შორის სხვადასხვა დროს იყვნენ კონსერვატორიის შემდეგი სტუდენტები: რევაზ გაბიჩვაძე, ეკატერინე სოხაძე, პეტრე ამირანაშვილი, სერგო გოცირიძე, ეკატერინე ცაგარელი, ნიკოლოზ ჩიგოგიძე, კონსტანტინე (კოკა) კინწურაშვილი, დაგმარა სლიანოვა (მიზანდარი), გრიგოლ ჩხიკვაძე, ლევან (ლეო) შიუკაშვილი, თამარ ჩარექიშვილი, თამარ დაფქვიანაშვილი, იონა ტუსკია, პ. ხუჭუა, გ. ხახანაშვილი, შ. მშველიძე, შ. აზმაიფარაშვილი, ა. მშველიძე და სხვები.

კონსერვატორიაში აგრეთვე არსებობდა მოსამზადებელი კურსები და ცალკე გამოყოფილი ე.წ. „ნიჭიერ ბავშვთა” ჯგუფები. ბრძ. #29 1934 წლის 28.04: “ჩაირიცხოს ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფში ჯემალ გოკიელი სადირიჟორო განხრით ა.წ. 11.04-დან.” 1934 წლის 23. 06 #44 ბრძანება: „სახკონსერვატორიაში არსებულ ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფის დამატებით კონკურსს ვიოლინ-ჩელოს სპეციალობაში ვნიშნავ 25 ივნისს---- დირექტორის მ.შ. შ. მშველიძე.” 1938 წლის 23.02 #14 ბრძანება: „ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფის მოწაფე ნელი ჩიქოვანი გადაყვანილ იქნას ტრუსკოვსკის კლასიდან აისბერგის კლასში.” ამავე წლის ბრძ. #15 „ნიჭიერ ბავშვთა ჯგ. მოწაფეს რობერტ ვახტანგოვს დაენიშნოს სტიპენდია ასი მან თვეში.”

ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფის ცალკე გამოყოფის იდეამ ნამდვილად გაამართლა. როგორც მომდევნო წლებში დავრწმუნდით, სწორი და მართებული გადაწყვეტილება იყო განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული და გამორჩეული მოსწავლეების გადაჯგუფება, რამაც მოიტანა იმის აუცილებლობა, რომ 1934 წელს კონსერვატორიასთან შეიქმნა „საცდელ-საჩვენებელი სამუსიკო სკოლა” ანუ იგივე „ნიჭიერთა ათწლედი,” როგორც მას მოგვიანებით ეწოდა, ხოლო დღეს მას ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა-გიმნაზია ეწოდება. ამას

ადასტურებს 1934 წლის 21.11-ს ბრძანება #81, სადაც გაწერილია 5 პუნქტიანი ჩამონათვალი. აღნიშნული ბრძანების სრული ტექსტი ასეთია:

1. საფორტეპიანო, საორკესტრო და მუსიკისმცოდნეობის განყოფილებათა IV და V კურსის სტუდენტებთან მუდმივ საწარმოო პრაქტიკის ჩატარების მიზნით სახკონსერვატორიასთან დღეის რიცხვიდან ჩამოყალიბდეს საცდელ-საჩვენებელი სამუსიკო სკოლა.

2. აღნიშნული სკოლის გამგეთ დაინიშნოს საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი ამხ. ნ. შარაბიძე.

3. დაევალოს ამხ. შარაბიძეს შეაგროვოს შრომის სკოლებში მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვები 7-14 წლის ასაკის, დაამუშავოს სკოლის დებულების და სასწავლო გეგმის პროექტი და წარმოადგინოს მე დასამტკიცებლად.

4. 1 დეკემბრიდან დაიწყოს საწარმოო პრაქტიკის ჩატარება საფორტეპიანო, საორკესტრო და მუსიკისმცოდნეობის დარგების სტუდენტებმა.

5. სათანადო კადრებს ვაკლებ, მოამზადონ აღნიშნული სტუდენტები პედაგოგიურ მუშაობისთვის ბავშვებთან. პასუხისმგებლობას ამ საკითხში ვაკისრებ პროფ. ვირსალაძეს, მინიარს და დოცენტ ასლანიშვილს. კონსერვატორიის დირექტორი შალვა მშველიძე. (სტილი დაცულია)

საყურადღებოა 1935 წლის 28.01 #10 ბრძანებაც:

1. სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფში კანდიდატების შესარჩევად ვნიშნავ კომისიას შემდეგი შემადგენლობით: შ. მშველიძე (თავმჯდ.), ასლანიშვილი, აისბერგი, ვირსალაძე, ბუგდანოვა, ვილშაუ, მინიარი, თულაშვილი და ტრუსკოვსკი.

2. კომისიას ევალება წინასწარ ჩაატაროს 05.02-ს ნიჭიერ ბავშვთა შერჩევა კონკურსზე დასაშვებათ.

3. კონკურსი ჩატარებულ იქნას 6 თებერვალს. შერჩეულ კანდიდატების სია 07.02-ს წარმომიდგინეთ მე დასამტკიცებლათ.

4. სულ წარმოდგენილ იქმნას ჩასარიცხვათ ათი კანდიდატი მათ შორის, ფორტ – 5, ვიოლინ – 3, ჩელო – 2. სახკონსერვატორიის დირექტორი ალ. ხოფერია. (სტილი დაცულია)

კონსერვატორიის პირველივე წლებიდანვე წარმატებულად ფუნქციონირებდა ასპირანტურაც, როგორც უმაღლესი განათლების მომდევნო, მეორე საფეხური. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში კონსერვატორიის ასპირანტთა შორის სხვადასხვა წლებში იყვნენ: ვანდა შიუკაშვილი, ანდრია ბალანჩივაძე, ლუარსაბ იაშვილი, ვანო გოკიელი, შალვა მშველიძე, შალვა აზმაიფარაშვილი, პავლე ხუჭუა, ვლადიმერ დონაძე, გრიგოლ ჩხიკვაძე, ნიკოლოზ გუდიაშვილი, გივი სვანიძე, თამარ კვირიკაძე, ვლადიმერ კურტიდი, და სხვები.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად რეპრესიული წლებისა, კონსერვატორიაში ხორციელდებოდა ფულადი დახმარება მათთვის, ვისთვისაც ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ხელმოკლეობის, ან ავადმყოფობის, ან მძიმე ოჯახური პირობების გამო. მაგალითად, ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი ბრძანების ტექსტი: „ლენინგრადის კონსერვატორიის სტუდენტს ამხ. ჩიგოგიძეს ფილტვების სისუსტით გამოწვეულ ავადმყოფობის გამო მიეცეს ერთდროულად დახმარების სახით 200 მანეთი.“ (სტილი დაცულია) 1931 წლის 31. დეკემბრის ბრძ.#21. გარდა ფულადი დახმარებისა, სტუდენტებს ავადმყოფობის, ან სხვა მიზეზით, მაგალითად ოჯახური პირობების გამო, ეძლეოდათ აკადემიური შვებულება. მაგალითად ბრძანება #82 23.11-34 წ.: „მიეცეს

აკადემიური შვებულება სასწავლო წლის ბოლომდე მძიმე ავადმყოფობის გამო სტუდ. საგატელოვას.” ბრძ. #85, 17.12-34.წ.: „სტუდენტ გ. აბაშევს მიეცეს აკადემიური შვებულება ერთი წლით.” 1938 წლის 01-11 #141 ბრძანების თანახმად: „მიეცეს ასპირანტ ქეთევანა ჩოლაყაშვილს ა/წ 01.11-დან 22.11-მდე მისი მოსკოვში სამკურნალოდ წასვლის გამო შვებულება. საფუძველი პროფ. რიაზანოვის დასკვნით.” 1938 წლის 23 დეკემბრის #182 §4 ბრძანება: „სადირიჟორო განყოფილების II კურსის სტუდენტს, ჯემალ გოკიელს მიეცეს აკადემიური შვებულება ავადმყოფობის გამო ა/წ 13.12-დან 1939 წლის 23.01-მდე. საფუძველი: ექიმის მოწმობები მისი ავადმყოფობის შესახებ.”

კონსერვატორია პერიოდულად განიცდიდა ბიუჯეტის სიმწირეს, რაც ხშირად გამხდარა ოპტიმიზაციის მიზეზი ერთი მხრივ, კათედრებისა და განყოფილებების გაერთიანების, ხოლო მეორე მხრივ, ხელფასების შემცირების ხარჯზე. ამ მხრივ საინტერესოა 1933 წლის 14 ივნისის #36 ბრძანების ტექსტი, რომელიც საკმაოდ ვრცელია და მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს: „სახკონსერვატორიის ბიუჯეტის შემცირების გამო განთავისუფლებული იქნეს ა.წ. 15 ივნისიდან პრორექტორი სამეურნეო ნაწილში ამხ. ლაბაძე, დარაჯი ბოგომაზი, გაუქმებულ იქნეს საქმეთა მმართველის თანამდებობა და მის მაგიერ იყოს დატოვებული კანცელარიის გამგის თანამდებობა.----- კათედრების გაფართოვების მიზნით ისტორიულ-თეორიული კათედრა შეერთდეს კომპოზიტორთა კათედრასთან 1-ლ მაისიდან. ვოკალური კათედრა და ვოკალური განყოფილება დროებით შეთავსებულ იქნეს ----- 1-ლ მაისიდან. ა.წ. 1 მაისიდან შემცირებულ იქნეს პერსონალური ხელფასი: პროფ. ზ. ფალიაშვილს და არაყიშვილს დატოვებულ იქნეს ძველი ხელფასი. პროფ. იუდინას შეუმცირდეს 120 მან. პროფ. რაისკის და შულგინას ძირითადი ხელფასის მიხედვით დაენიშნოთ 450 მან. დოცენტ რაბინოვიჩს დაენიშნოს ძირითადი ხელფასის მიხედვით 350 მან. პერსონალური ხელფასი პროფ. მინიარს და ვილშაუს დატოვებულ იქნეს უცვლელათ. ამხ. გროსმანის საათების ნორმა ჩაითვალოს როგორც სავალდებულო საგანი დოცენტის ხელფასის ნორმის მიხედვით...” (სტილი დაცულია) და ა.შ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი მუდმივად ამოწმებდა საქართველოს რეგიონებში არსებული სამუსიკო სასწავლებლების (ე.წ. ტექნიკუმების) მუშაობას, სწავლებას, სწავლის ხარისხსა და დონეს და ამისათვის კონსერვატორიის ადმინისტრაციიდან პერიოდულად მიავლენდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სპეციალურ კომისიას. ამ მხრივ საინტერესოა მაგალითად 1935 წლის 10.02 #19 ბრძანების ტექსტი: „თანახმად საქ. განათლების სახალხო კომისიის და კადრების სექტორის გამგის განკარგულებისა, მივლინებული ვიყავი პროვინციაში სამუსიკო ტექნიკუმების და სასწავლებლების გამოსაკვლევად. გამოკვლევებმა დამარწმუნა, რომ მუსიკალურ-თეორიული საგნების სწავლების დონე დაბალ ნიადაგზე იმყოფება, მოწაფეთა მიერ საგნის შეთვისება არადამაკმაყოფილებელია. ამიტომ დღეის რიცხვიდან 1. აიკრძალოს ყოველგვარ მუსიკალურ-თეორიული საგნების (ელემ. თეორია, სოლფეჯიო, ჰარმონია, მუს. ისტორია, მუს. ლიტერატურა) ჩათვლა სახკონსერვატორიაში. 2. ყველა ახლად შემოსულთათვის მოეწყოს აღნიშნულ საგნებში გამოცდები. 3. აღნიშნულ განკარგულების ცხოვრებაში გატარებას ვავალე სამეცნიერო-საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანს და მუსიკიმპროდუქციის კათედრის გამგეებს. სახკონსერვატორიის დირექტორი შ. მშველიძე.”

ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ხდებოდა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გადასინჯვა და მათში შესწორებების შეტანა. დგებოდა ინდივიდუალური

სამუშაო გეგმები. სასწავლო წლის ბოლოს კი ყველა ფაკულტეტზე იქმნებოდა სპეციალური კომისია „სადიპლომო მუშაობის შემოწმებისათვის.“ (იხ. 1935 წლის 07.06 #71 ბრძ. და 08.06 ბრძ. #73)

1930-იანი წლების მეორე ნახევარში, კერძოდ, 1935 წლის 13.04 #45 ბრძანების საფუძველზე კონსერვატორიაში გაიხსნა ხალხური შემოქმედების კაბინეტი, რომელსაც თავდაპირველად ერქვა „ქართული მუსიკის კაბინეტი.“ კაბინეტის სამეცნიერო მუშაობას მაშინ ხელმძღვანელობდნენ ჯერ კიდევ დოცენტების აკადემიურ ხარისხში შ. მშველიძე, ვალენტინა სტემენკო-კუფტინა და შ. ასლანიშვილი. შ. მშველიძეს დაევალა სამი დღის ვადაში წარმოედგინა კაბინეტის დებულება, სამუშაო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. 1935 წლის 25.09 #98 ბრძანების თანახმად, იმავე წლის 01.09-დან „ქართული კაბინეტის გამგედ დანიშნულ იქნა გრიგოლ ჩხიკვაძე, რ-საც დაევალა უმოკლეს ვადაში წარედგინა კაბინეტის დებულება და სამუშაო გეგმები. იმავე წელს (ბრძ. #119§1, 21.11-35წ.), „ქართული კაბინეტის მდივნის თანამდებობაზე დაინიშნა ნიკოლოზ შარაბიძე, ხოლო 1935 წლის 20.12 #127 ბრძანებით, პროფ. დიმიტრი არაყიშვილი დაინიშნა „ქართული კაბინეტის“ წევრად (!). 1936 წლიდან კაბინეტს შეუერთდნენ იონა ტუსკია და გრიგოლ კილაძე – ბრძ.#38 – 14.01-36წ. 1936 წლის 11.07 #58§1-ის ბრძანების საფუძველზე, იმავე წლის პირველი სექტემბრიდან გაუქმდა „ქართული მუსიკის კაბინეტი“ და მის ბაზაზე შეიქმნა ქართული მუსიკის კათედრა. 1937 წლის 02.11-37წ. §1-დან ბრძანებიდან ვგებულობთ: „სამეცნიერო-საკომპოზიციო ფაკ. გამგე დიმიტრი ეგნატეს ძე არაყიშვილი დაინიშნოს ხალხური სამუსიკო ინსტრუმენტების გამგეთ. ორივე თანამდებობის შესრულებისათვის მიეცეს თვეში ხელფასი ხუთასი (500) მანეთი.“

კონსერვატორიაში ფუნქციონირებდა სამხატვრო საბჭოც. მასში წევრებად სხვადასხვა დროს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად შედიოდნენ კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები. მაგალითად, 1937 წლის 19.09 #58§10 ბრძანების მიხედვით სამხატვრო საბჭოს წევრები იყვნენ: ა. ხოფერია, ი. აისბერგი, კ. მინიარი, ვ. კუფტინა, შ. ასლანიშვილი, ლ. დონაძე, გრ. ჩხიკვაძე, ლ. შიუკაშვილი, დ. შვედოვი, ა. ვირსალაძე, ა. თულაშვილი და სხვები.

იმთავითვე დიდი ყურადღება ეთმობოდა სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას. წარმოებდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, დისციპლინის დარღვევის აღრიცხვიანობა – ბრძ. 28 §2, 1936 წლის 15.03. მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა გაკვეთილებზე, ინდივიდუალურ გაკვეთილებზე და საერთო ლექციებზე დასწრება. ჩვენთვის საინტერესო პერიოდებში ბრძანებებში ხშირად შეგვხვდება ისეთი ადმინისტრაციული სასჯელები, როგორებიცაა გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, გარიცხვა. სტიპენდიის მოხსნა და სხვ. მაგალითად, ამონაწერი 1937 წლის 21.10 #73 ბრძანებიდან: „თანახმად სახკონსერვატორიის დირექციის, პარტკომის, კომკავშირის და პროფკომის გაერთიანებული სხდომის დადგენილებისა, ქვემოთ ჩამოთვლილ სტუდენტთაგან, რომლებიც მიუხედავად მთელი რიგი გაფრთხილებისა, არღვევენ დისციპლინას, როგორც ლექციებზე დაუსწრებლობით, ისე მარშრობაზე გამოუცხადებლობით: გამოირიცხონ კონსერვატორიიდან (ჩამონათვალი)..., მოეხსნათ სტიპენდია (ჩამონათვალი).....“

კონსერვატორიის როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი ცხოვრებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო კონკურსებში მონაწილეობას, რომლებიც სხვადასხვა

დროს იმართებოდა. მაგალითისათვის მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს: ბრძ. #21 11.02-35 წ: „ლენინგრადის II საკავშირო კონკურსზე გაემგზავროს პროფ. ა. თულაშვილი სამი კვირის ვადით და მიეცეს გზის სახარჯო ლენინგრადამდე 450 მან.“ სრულიად საქართველოს რესპუბლიკური კონკურსის შესახებ იხ. ბრძ. #5 1935 წლის 13.01: „სრულიად საქართველოს რესპუბლიკანურ კონკურსში შესაფერის მონაწილეთა შერჩევის მიზნით სახკონსერვატორიაში ინსტრუმენტალურ ფაკულტეტზე ვნიშნავ კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ბუგდანოვა, ბოგოიავლენსკი, ასლანიშვილი, გროსმანი, შვედოვი, არაყიშვილი, ხმალაძე.“ 1935 წლის ბრძ. #17§1 - ქ. ლენინგრადში მეორე საკავშირო. კონკურსის შესახებ: „II საკავშ. კონკურსზე ქ. ლენინგრადში გაემგზავრონ როგორც აღმსრულებლები (მონაწილენი – თ.დ.) შემდეგი სტუდენტები --- ----.“ ამავე კონკურსს ეძღვნება ამავე წლის ბრძანება #17 §2; #18 §1 09.02-35წ; 1937 წლის 01.10 #63 ბრძანება §ნ: “მუსიკოს-შემსრულებელთა III საკავშირო კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში გაემგზავრონ: ლ შიუკაშვილი, გ. ბარნაბიშვილი, ირ. ბერიძე -----...” §8: ასევე გაემგზავრნენ დ. არაყიშვილი, მ როგოვსკაია, კ. მინიარი.” 1937 წლის ბრძ. #75 – 27.10-37: „პროფ. მინიარის საკავშირო კონკურსზე გამგზავრების გამო მისი მოვალეობის ასრულება დაევალოს პროფ. დ. გროსმანს (ინსტრუმენტალურ ფაკ. დეკანობა)” (სტილი დაცულია)

პარადოქსულია, რომ გასული საუკუნის 20-30 იან წლების ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როდესაც სახელმწიფო მანქანა სრულად იყო გაბატონებული საზოგადოებასა და პიროვნებაზე, მისწრაფოდა საზოგადოების ყველა სფეროზე სრული კონტროლის დამყარებისაკენ, სრულიად იგნორირებული იყო პლურალიზმის პრინციპი და პოლიტიკური წინააღმდეგობების რეგულირება ხდებოდა პირდაპირი მნიშვნელობით, ძალისმიერი მეთოდებით, როდესაც ძალმომრეობა იქცა ცხოვრების წესად, როდესაც აკადემიური პერსონალისათვის და ადმინისტრაციისათვის ახალ-ახალი მითითებებისა და დირექტივების მისაღებად თითქმის აუცილებელ პირობად იქცა ხშირი მივლინებები საბჭოეთის დედაქალაქის, მოსკოვის ხელოვნების საქმეთა სამმართველოში, ყოველივე ამის ფონზე კონსერვატორიაში, როგორც აკადემიური პერსონალისათვის, ისე სტუდენტებისათვის, ყველა პირობა იყო შექმნილი სასწავლო პროცესის წარმატებულად წარმართვისათვის. მაგალითად, 1937 წლის 17.11 #87 ბრძანებაში ვკითხულობთ „სახკონსერვატორიის სტუდენტების და პედაგოგიური პერსონალის მომსახურებისათვის მოწყობილ იქნას ბუფეტი-სასადილო. გამოყოფილ იქნას სახკონსერვატორიის შენობაში სათანადო სადგომი. ბუფეტი-სასადილო გადაყვანილ იქნას სრულ სამეურნეო ანგარიშზე.“ ბრძ. #104 06.10-1935წ.-ის თანახმად, კონსერვატორიის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის გაიხსნა საპარიკმახერო. 1936 წ. 28.01 #11 ბრძანებიდან ვიგებთ, რომ პერიოდულად ხდებოდა კონსერვატორიის მთელი შემადგენლობის სამედიცინო შემოწმება, ფუნქციონირებდა სამედიცინო პუნქტი. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის 1935 წლის 13.11 #117 ბრძანების საფუძველზე გაიხსნა სტუდენტთა გაჯანსაღების მიზნით ყველა კურსზე შემოღებულ იქნა საგანი ფიზკულტურა (1935 წლის 02.01 ბრძ. #3§3). მასწავლებლად დაინიშნა კონსტანტინე ბადრიძე (იქვე §4), ჩამოყალიბდა ფეხბურთის გუნდი, ჭადრაკის წრე. ფუნქციონირებდა ფონიატრიის კაბინეტი. შემოღებულ იქნა კურიერის „ინსტიტუტი,” ბრძ. #37 1937 წლის 28.06: „ნიჭიერ სტუდენტთა და ბავშვთა ჯგუფის მოწაფეთა ზაფხულის პერიოდში საკურორტო მომსახურების ორგანიზებულად მოწყობის მიზნით, ა.წ. 01. 07-დან 01. 09-მდე კურორტ წაღვერში გახსნილ იქნას კონსერვატორიის საზაფხულო სანატორიუმი.” და სხვ. 1937

წლის 26.10 ბრძანებიდან #74 ვგებულობთ, რომ სპეციალურ და დამხმარე საგნებთან ერთად შემოღებულ იქნა სამხედრო (სამოქალაქო თავდაცვის) სწავლების კურსი.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა დროს, კონსერვატორიაში ეწყობოდა შემოქმედებითი საღამოები. მაგალითად, 1936 წლის 9 იანვრის ბრძანების #5 ტექსტი გვამცნობს შემდეგს: „უკანასკნელ წლებში სწავლის ხარისხის უკეთესი მაჩვენებლებისათვის სტუდენტთა დარაზმვისათვის, მეთოდურ-პედაგოგიური მუშაობის გაშლისათვის და კომპოზიტორ ვერდის საღამოს კარგათ მომზადებისათვის, გამოეცხადოს მაღლობა ვოკალური ფაკულტეტის მთელ შემადგენლობას. სახკონსერვატორიის დირექტორი ა. ხოფერია.“ (აქ და სხვაგან სტილი დაცულია)

გარდა სალექციო კურსებისა და ინდივიდუალური მეცადინეობებისა, კონსერვატორიის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები ეწეოდნენ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ მოღვაწეობასაც. მაგალითად, არქივში დაცულია პროფ. ევგენი ვრონსკის მიერ შემუშავებული „Методика пения. Подготовительный период“ „Системы преподавания сольного пения в Грузинской ССР“ პროფ. ვალენტინა კუფტინამ 1935 წლიდან დაიწყო მოღვაწეობა თბილისის კონსერვატორიაში, სადაც მიჰყავდა რამდენიმე კურსი: სპეც. ფორტეპიანო, კამერული ანსამბლი, მის მიერვე შემუშავებული კურსით მიჰყავდა ლექციები პიანიზმის ისტორიაში, მუსიკის თეორიაში. გარდა ამისა, ვ. კუფტინა ეწეოდა ნაყოფიერ საკონცერტო და სამეცნიერო მუშაობას. მისი სადისერტაციო ნაშრომის თემაა: „იოჰანეს ბრამსის საფორტეპიანო და კამერული შემოქმედება“. გამოქვეყნებული ნაშრომებია: „პალეაზიატთა მუსიკალური კულტურის ელემენტები“, „ქართული გუნდის შესახებ“, წიგნი „ქართული ხალხური შემოქმედების უძველესი საკრავიერი საფუძვლები“ და სხვა. ის აგრეთვე ავტორია სამეცნიერო ნაშრომისა, „ქართული ხალხური მუსიკის უძველესი საფუძვლები,“ რომელმაც დაიმსახურა II პრემია.

გასული საუკუნის 20-30-იანი წლების ბრძანებათა წიგნების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამიერკავკასიის რეგიონის მასშტაბით კონსერვატორია იმთავითვე იქცა ერთერთ კულტურულ-საგანმანათლებლო-სამეცნიერო მძლავრ ინსტიტუციად და კერად. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ შექმნიდან (1917) მალევე, სულ რაღაც 7 წელიწადში, 1924 წელს კონსერვატორიას მიენიჭა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი.

---

Article received: 2020-01-08